გაზეთ „ფანტაზიის“ ამ კვირის ნომერი ოთხგვერდიანია

# ფანტაზია

№ 20 (46)

17-23. 06. 1997 | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 30 თეთრი

# ქალი, რომელიც სიყვარულს ეძებს

*„... მადონა მაყურებლის თვალწინ აკეთებს იმას, რის გამოც ამერიკელები ფსიქიატრებს აბეზრებენ თავს...“*



გოგონა, რომელმაც დედა დაკარგა, ცდილობს მთელი ქვეყნიერება თავის მშობლად აქციოს; ეს „ქვეყნიერება“ კი მას ეწინააღმდეგება და რაც უფრო მეტად განიზიდავს ამ ქალს თავისგან, მით უფრო მეტი აზარტით ილტვის მისკენ, მით უფრო მეტ საყრდენს პოვებს მასში... მადონა ის გოგონაა, რომელიც მშვენიერ ქალად იქცა და ახლა ფაქტიურად თავისი ცხოვრების ეკრანიზაციითაა დაკავებული.

მადონა მთელი მონარქიაა. ეს პირობითი აღნიშვნაა რუკაზე, სახელით – „მე“ მისი ტერიტორია ისეთივე უსაზღვროა, როგორც მისივე ამბიციები. იგი აწმყოთი ცხოვრობს და მისთვის ყოველი ნოსტალგიური ხსოვნა რაღაც მუხრუჭს ჰგავს, რაც მის წინსვლას აფერხებს. იგი რაღაც „გამონაკლისობის“ სიმბოლოა; რაწამს აიტაცებს ბრბო მის პრინციპებს, იგი იძულებს ამ წლობით ნაწვალებ-ნაფიქრალ აზრებს და საკუთარი თავის მოწინააღმდეგე ხდება. სანამ არსებობს საყოველთაო ნორმა, იგი მარადიული გამონაკლისი იქნება...

ერთმა ცნობილმა კრიტიკოსმა მადონა მერილინ მონროს შეადარა იმ კუთხით, რომ ორივე მათგანი ამერიკის სიმბოლოს წარმოადგენს. იმ კრიტიკოსმა ამ ორ „სიმბოლოს“ შორის სხვაობაც მოიძია: მონრო მსხვერპლია, მსხვერპლი საზოგადოებისა და თავისი სისუსტისა; მადონა კი ძლიერია, იგი უფრო ჯალათია იმავე საზოგადოებისა და საკუთარი თავისა.

## პორტრეტი

მადონა გარეგნობით 30-40-იანი წწ. კინომსახიობებს წააგავს; ეს არის დეპრესიებისა და ომების რეტრო-ხატი, იგი შენელებული ქმედების ნატურაა, რომელსაც დამანგრეველი ძალა გააჩნია. იგი დიდხანს „აგროვებდა“ ცხოვრებას: ბავშვობა... ყრმობა... სიქალწულე... ყოველი ეს „ერთეული“ თავის წინამორბედს სჯობნიდა ელვარებით. ამ ქალს ყოველთვის ჰქონდა სწრაფვა ცოდნისაკენ, მიდრეკილება „კარგი ნიშნებისაკენ“, რათა მამა გაეხარებინა; ამავე დროს მთელი მისი არსება ამბოხებული იყო ამ „კარგი (და რიგითი) მოსწავლის“ იმიჯის წინააღმდეგ და ამიტომაც ყოველთვის ცდილობდა ის „დადებითი გმირის“ მითი დაემსხვრია, რასაც უფროსები ქმნიდნენ ამ ნიჭიერი გოგონასაგან.

„დადებითობა“ მისთვის მუდამ მოსაწყენი და შეურაცხმყოფელი იყო და იქნება...

ამიტომაცაა, ალბათ, რომ იგი ბავშვობიდანვე მიეჩვია თვალთმაქცობას: ერთწამს თუ იგი თბილი და ალერსიანია, იმავდროს შეუძლია ანჩხლი და კაპასი ქალის იერი მიიღოს. სინამდვილეში როგორიღაა? – ეშმაკმა იცის... ზოგჯერ „დიდებულების“ შარავანდედმოსილი დააბიჯებს ბრბოში და, იგრძნობს რა რაღაც კერპადქცევას, მაშინვე ისეთ გამაოგნებელ სისულელეს ჩაიდენს, რომ ბრბო აღშფოთებულია – „ნუთუ ამას ვეთაყვანებოდითო ამდენ ხანს?!“ და ასეთი რისხვის შეცნობისთანავე ახალი პროტესტი ჩნდება მის არსებაში: ***„მე ხომ კეთილი ვარ, რად ვიქცევი ასე საზიზღრად?!“***

ასეთმა შინაგანმა ფორიაქმა იგი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მან წერტილი დაუსვა ყოველგვარ დამოკიდებულებას გარემოზე, იმ „გარემოზე“, რომელსაც ყოველგვარი უფლება წაართვა მის პიროვნებაზე ბატონობისა; ამ ქალმა „დუელში“ გამოიწვია საზოგადოება და არც აპირებს დანებებას, დანებება რას მიქვია, როცა იგი იმასაც კი ახერხებს, რომ ეს „გარემო“ თავისი ხუშტურებისა და თავქარიანობის კვალობაზე აპროწიალოს. მის ენერგიას ვერავინ უმკლავდება, იგი სატანასავით ზემოქმედებს მოწინააღმდეგეზე...

## კარიერა

აი, მაგალითი მადონას კარიერის დააწყისიდან: მან თავისი სიმღერების ჩანაწერი ხმისჩამწერ სტუდიაში მიიტანა და იქ იმდენ ხან იყურყუტა, სანამ საჭირო მენეჯერს არ ჩაავლო ხელი და თავის გამოსვლებზე არ მიიწვია ღამის კლუბში. თუმცა მენეჯერი არ მივიდა და მადონამ მეორე დღესვე მის კაბინეტში „ვულკანი ამოაფრქვია“, გამაოგნებელი ყვირილით დააცხრა თავს ამ „საქმოსანს“ – ***რაკიღა მოგიწვიე, უნდა მოსულიყავიო, უნდა მობრძანებულიყავიო თუნდაც თავაზიანობის გამო... მომავალი ტალანტის მიმართ კი ასეთი გულგრილობა დანაშაულის ტოლფასიაო***“... მენეჯერს ენა ჩაუვარდა, იგი ანკესზე წამოეგო, რაღაც ჰიპნოზის ზემოქმედებაშიც კი მოექცა ამ ტემპერამენტისა და ოპტიმიზმის გამოისობით. ეს ახლაა, რომ მადონას სიმღერა აღიარეს და აღარავინ ამბობს იმას, რომ მას ხმა არ გააჩნია, რომ მისი ტემბრი მოსაწყენად ერთფეროვანია და ა. შ. მაშინ კი ამას ყველა ამჩნევდა, ამჩნევდა და... წინააღმდეგობას ვერ უწევდა!

1985 წლიდან, როცა მადონას აღმასვლა დაიწყო, მრავალი ნაწყენ-ნამდურავი დარჩა „ზემოთ“ მიმავალი გზის გასწვრივ. ამ „გადაქელილთაგან“ მრავალმა სუბიექტმა, დროისა და ტკივილის ჩავლის შემდეგ, ისიც კი აღიარა, რომ ამ ქალს უფლება გააჩნდა, მსგავსი უმოწყალო ქმედებისა. კარიერა – უსულგულო მხეცია, რომელიც გამუდმებით ითხოვს „ასაფრენი ზოლის“ გაწმენდას. ვალდებულებათა და მადლიერებათა კუდები კი უნდა მოიკვეთო, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ აფრინდები. მადონამ უკან მოიტოვა ყოფილი პროდიუსერები, მუსიკოსები, მოცეკვავეები, საყვარლები და ქმარიც კი – მსახიობი და რეჟისორი შონ პენი, რომელსაც ხულიგნის, დებოშირის, მაწანწალას და მუსუსის რეპუტაცია ჰქონდა. ამ კაცმა ერთდროს აჯობა კიდევაც მადონას და ეს მაშინ იყო, როცა ჩვენი ნარკვევის გმირს ჯერ კიდევ მოსდევდა ყმაწვილური ილუზიები ოჯახური სიმყუდროვის, ჰარმონიული თანაცხოვრებისა და სიყვარულის შესახებ, შონ პენის კი იგი ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის სამყაროში მიჰყავდა და „გზადაგზა“ ისე სცემდა სკამზემიბმულ ცოლს, რომ ქალს პოლიციის გამოძახებაც კი უხდებოდა. მადონა მიხვდა, რომ თავისი სამოთხით ვიღაც უცხო არსების ჯოჯოხეთურ ქოხში მოხვდა და აქ ყველაფერი დაკარგა; მან განქორწინების საქმე აღძრა, უმალ განიშორა ოჯახური სიამტკბილობის ილუზიები, თუმცა, როგორც ამბობენ, ერთხანს ყოფილი ქმრის მორალურ დაცემას ცდილობდა და ამ მიზნით საყვარელს საყვარელზე იცვლიდა, თანაც ისეთ კაცებს ირჩევდა, რომელთა პიროვნებები შონ პენის ეჭვიანობის გრძნობას გაუჩენდნენ და მას მადონასთან მონანიების სიტყვებით მიიყვანდა. ყოფილმა ქმარმა შეიძლება ინანა კიდეც, მაგრამ პატივმოყვარეობა შეინარჩუნა და თავადაც „სასიყვარულო ორგიაში“ გადაეშვა. ერთი სიტყვით, შორიშორ დარჩენილებმა მცირეოდენ გაალიზიანეს ერთმანეთი და ისევ განაგრძეს ცხოვრება.

## პიროვნება

მადონა პიროვნებაა, რომელსაც სქესობრივი საზღვრები არ გააჩნია. იგი, რა თქმა უნდა ქალია, მაგრამ არც ეს ფაქტორი ზღუდავს მას. იგი შეყვარებულია ხან კაცებზე და ხან ქალებზე და მუდამ სააშკარაოზე გამოაქვს ეს არჩევანი. ჭორების მოყვარულ საზოგადოებას ჰგონია, რომ იგი თავის ყოველ ვნებიან თავგადასავალში ანგარებისა და ანგარიშის მიზნით ერთვება; არადა, ამ ქალის სული გამუდმებულ მოქმედებაშია, გამუდმებით დაეძებს გზნებას და სულის ჭერჭელს აძლევს იმის ნებას, რომ ხან კაცისაგან მიიღოს ენერგია და ხან ქალისაგან. ეს რაღაც დამუხტვას ჰგავს ორგანიზმისას, რაღაც მიერთებას ჰგავს მაღალი ძაბვის სადენებზე. ალბათ, ამიტომაცაა, რომ იგი საყვარლებად ირჩევს სამხრეთამერიკელებსა და შავკანიანებს. მხურვალე ადამიანები მას სატრფიალო რიტმით ჰკვებავენ.

იგი ირგვლივ იკრებს ვნებიან არსებებს, რათა მათთან პაექრობით აღმაფრენისა და შთაგონების სტიმული შეიძინოს; მართალია, ყოველივე ეს ფიზიკური მატერიის დონეზე ხდება, მაგრამ სწორედ ესაა მისი სულის ენერგიის წყარო.

ყოველი პროგრამისათვის იგი ახალ ბალეტს აგროვებს, ახალ სისხლს აჩქეფებს. არა, მადონა ვამპირი არ არის, მას სისხლის ჩქეფა მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ საკუთარ ძარღვებშიც აამოძრაოს ეს „წითელი სითხე“. ახალი შემადგენლობა ახალი პრობლემებით, ახალი ინტრიგებითა და ცეცხლით, ახალი სხეულებით



მოდის და სწორედ ესაა მადონას დაუდგრომლობის მიზეზი – იგი მეფობს გარემოზე, იგი შთაგონებას იღებს და უყვარს ყველა და ყველაფერი.

სინდი კროუფორდმა ერთხელ თქვა: ***„მადონა მაყურებლის თვალწინ აკეთებს იმას, რითაც ამერიკელები ფსიქიატრებს თავს აბეზრებენო“***. მადონამ იპოვა ყველაზე უსახური, დაინტერესებული და რაოდენობრივი მკურნალი, რომლის წინაშე საკუთარი სულისა და სხეულის გაშიშვლებისა არ ერიდება. პუბლიკას შეუძლია სარკესავით აირეკლოს ის, რასაც აჩვენებ. ამიტომაცაა, რომ ზოგს მისი მოურიდებლობა დოგმებისაგან გათავისუფლების საშუალებას აძლევს – ***„მადონა თუ ასეთია, მეც მაქვს უფლება მას ვგავდეო“***, ზოგს კი უჩნდება უპირატესობის გრძნობა – ***„მე უკეთესი ვარ მადონას ფონზეო“***.

*(დასასრული მეოთხე გვერდზე)*

---

**შეგახსენებთ, რომ მომავალი ნომრიდან დაიწყება საკროსვორდო ჩემპიონატის მეორე (საზაფხულო) ტურნირი**

---

## ანეკდოტი მოცემულ თემაზე

ერთმა ბიზნესმენმა მეგობარი მიიწვია შინ თავისი სურათების გალერეის დასათვალიერებლად.

– ო, რა მშვენიერი მადონაა! – აღფრთოვანდა მეგობარი რაფაელის მადონას ხილვისას.

– ზუსტად ვერ გეტყვით – მადონაა თუ პაჯერო.

– ეს როგორ გავიგოთ?!

– ნახატი და მანქანა ერთდროულად ვიყიდე და ვერ დავიმახსოვრე – რომელს რა ჰქვია...

---

## ასოციაცია



1. სპილენძი, ალუმინი; 2.ალაბამა, არკანზასი; 3. „ვაშა“, „ბრავო“; 4. კალკუტა, მადრასი; 5. რომანი, სცენარი; 6. ოუტლანდია, პირენეი;7.ოქრო, ვერცხლი. 8.იზმირი, ბურსა; 9.ლამაზმანი, კეკლუცი;10.უატი, პოპოვი.11.საამქრო, საწარმო.12.აურა, გვირგვინი;13.გიგანტური, დიადი;14.ბურგასი, პლოვდივი;15.წავი, ენოტი;16.ზანგი, შავკანიანი;17.მარადონა, ორტეგა;18.ბერგმანი, რეჟისურა.19.ოქროპირი, პასეანსი20.სუნდუკიანი, თუმანიანი;21.კოლივანოვი, ციმბალარი;22.ადიუ, ნახვამდის; 23. პაქტი, რეზოლუცია;24. პატარა, სუსტი; 25. ნიკოლასი. დევიდი; 26. თეთრი, ქათქათა. 27. ბრესტი, კურსკი; 28. ქეიფი, სადილი; 29. ბერგმანი, მსახიობი; 30. ჩხუბი, დუელი; 31. ჰარამხანა, საჭურისი; 32. ბალი, წალკოტი; 33. სულ, მუდამ; 34. სულელი, დებილი; 35. ანტიკვარული, ძველი; 36. სიშიშვლე, პორნოგრაფია; 37. ფორინტი, ლევა; 38. მეშახტე, მეგვირაბე.

## სკანდინავიური კროსვორდი

შარაგზა; ნახატი; პანიკა; კონიაკი; იზოლაცია; ადრეული ხილი; ძველი ჯარი; კაბის ტიპი; ანძა ძველად; თამროს მამა; თურქეთის ქალაქი; ულრანი; ტახტი; კოჭლი თემური; შორისდებული; აისი; შვეიცარ. ქალაქი; ჟოისის რომანი; ამინდი; ნარნარი ფრენა; ერაყის ქალაქი; ქალაქი ნიდერლანდში; ნოტა; ?!; ოთახი საავადმყოფოში; ენერგიის ერთეული; ევროპის ქვეყანა; არაბული ქვეყანა; ციხე-სიმაგრე; ნატო...; მოშე იბნ...; იტალიური სიმღერა; წუხილი; საქართველოს მეფე მე-9 ს.; თურქეთის ფული; ცეკვის ილეთი; აშშ-ს ასტრონავტი; სავალი ნაწილი; ცხენით თამაში; სამხრ. ამერიკის ქვეყანა; ხე; ჩიგოგიძე; აბრა; ქურთი; გრდას ძმა; ევროპის ქვეყანა; ერთი (გერმ.); სამი (სპარსულად); სალამური; ასო; ტელესინე-; ინგლისელი მწერალი; ?!; რაჭაშია



## ლოგიკური ამოცანა - «21»

*ნიმუში:*
ჭაბუკი, აჭარა, ფ ო თ ო ლ ი, ბურთი...
ლოგიკურად აქ უნდა მივიღოთ *ს პ ო რ ტ ი ს სახელი*

- პრადო, ერმიტაჟი, ჯოკონდა, სასახლე.
- ფოლადი, 300 მ. 1889, ტრანსლაცია
- გავროში, 1802-1885, საბრალო, ვიქტორია.
- ჯ ვ ა რ ი , თ ო ფ ი , დეტრევილი, 17 ს.

- აიაჩო, ვენდეტა, კუნძული, სარდინია.
- პ ე ტ რ ე , კ ა რ ლ ი , პავლე, ალექსანდრე.
- 1812, ლერმონტოვი, მოსკოვი, კუტუზოვი.
- ს ა უ კ უ ნ ე , ა რ ი , პროცენტი, ცენტნერი

- ე ს პ ა ნ ე თ ი , რ ო ს ი ი ტ ა ლ ი ა , 3 - 1
- მექსიკა, მარადონა, ა რ გ ე ნ ტ ი ნ ა , 3 - 2
- იტალია, სკილაჩი, გ ე რ მ ა ნ ი ა , 1 - 0
- ა შ შ , რ ო მ ა რ ი ო , ბ რ ა ზ ი ლ ი ა , 0 - 0

- ჯოჯოხეთი, ამირანი, უანგბადი, სითბო.
- ახალი, სენტ-კრუზი, გრინვიჩი, ლუარა.
- მარიამი, სისხლი, ქორწილი, ზოდიაქო.
- გუმბათი, ქრისტე, მღვდელი, ალსარება.

**Finish**

*მისდიეთ ისრებს და გადით ფინალში.*

## ნუმერვორდი - ცარიელი ჩარჩოთი

*მოცემული რიცხვებით აღადგინეთ კროსვორდი მარჯვენა ჩარჩოში; 2, 5, 8, 9 და 11 ხმოვნებია*

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 2 | 4 | 5 | ■ | 15 | 2 | 3 | 2 | 9 | ■ | 14 | 1 | 9 | 18 | 16 | 5 |
| 2 | ■ | 9 | ■ | 3 | 11 | 12 | 10 | 8 | ■ | 16 | 5 | 22 | 14 | 8 | ■ | 16 | ■ | 14 |
| 6 | 2 | 6 | 4 | 8 | ■ | 6 | ■ | 14 | 8 | 9 | ■ | 23 | ■ | 19 | 5 | 8 | 12 | 2 |
| 2 | ■ | 10 | ■ | 2 | 13 | 9 | 4 | 8 | ■ | 5 | 16 | 2 | 10 | 2 | ■ | 14 | ■ | 1 |
| 7 | 3 | 9 | 8 | 10 | 8 | ■ | 11 | ■ | 1 | ■ | 2 | ■ | 2 | 6 | 1 | 5 | 14 | 8 |
| 8 | 2 | ■ | 3 | 2 | ■ | 2 | 3 | 21 | 8 | 4 | 3 | 8 | ■ | 8 | 2 | ■ | 2 | 2 |
| ■ | 6 | 5 | 8 | ■ | 2 | ■ | 8 | ■ | 16 | ■ | 8 | ■ | 21 | ■ | 6 | 9 | 2 | ■ |
| 1 | 17 | ■ | 6 | 2 | 6 | 2 | ■ | 21 | 8 | 2 | ■ | 18 | 2 | 6 | 9 | ■ | 10 | 15 |
| 16 | 9 | 3 | 5 | ■ | 4 | ■ | 17 | ■ | 15 | ■ | 9 | ■ | 8 | ■ | 5 | 16 | 8 | 2 |
| 8 | ■ | 4 | ■ | 15 | 2 | 10 | 2 | 19 | 2 | 14 | 1 | 2 | 3 | 8 | ■ | 9 | ■ | 4 |
| 4 | 3 | 9 | 2 | ■ | 6 | ■ | 9 | ■ | 6 | ■ | 2 | ■ | 9 | ■ | 4 | 11 | 7 | 8 |
| 5 | 9 | ■ | 16 | 9 | 4 | 9 | ■ | 2 | 20 | 2 | ■ | 2 | 6 | 24 | 8 | ■ | 16 | 5 |
| ■ | 12 | 3 | 5 | ■ | 2 | ■ | 13 | ■ | 2 | ■ | 2 | ■ | 8 | ■ | 4 | 21 | 2 | ■ |
| 27 | 4 | ■ | 18 | 2 | ■ | 14 | 2 | 21 | 3 | 8 | 6 | 2 | ■ | 2 | 3 | ■ | 4 | 18 |
| 3 | 9 | 10 | 9 | 14 | 8 | ■ | 22 | ■ | 9 | ■ | 11 | ■ | ო | დ | ი | ს | ე | ა |
| 2 | ■ | 5 | ■ | 18 | 5 | 18 | 8 | 2 | ■ | 1 | 8 | 3 | 26 | 2 | ■ | 2 | ■ | 3 |
| 1 | 3 | 8 | 23 | 8 | ■ | 2 | ■ | 14 | 1 | 2 | ■ | 2 | ■ | 25 | 2 | 6 | 19 | 8 |
| 8 | ■ | 6 | ■ | 4 | 23 | 8 | 12 | 8 | ■ | 4 | 2 | 8 | 15 | 8 | ■ | 10 | ■ | 13 |
| 2 | 23 | 2 | 3 | 8 | 2 | ■ | 1 | 2 | 1 | 2 | 9 | ■ | 16 | 9 | 10 | 8 | 6 | 8 |

*მოცემულია ანბანზე დალაგებული სიტყვები; განათავსეთ ისინი მარჯვნივ მდებარე ცარიელ ჩარჩოში*

**5 ასო** — ალეპო, გოგრა, დენდი, ვარნა, ლაურა, მედეა, ნესვი, ნეშტი, ნიავი, რაბლე, რეისი, რუმბა.

**6 ასო** — არიანა, არხოტი, ინგირი, ლორენი, მონაკო, ტაპირი, ტოლედო, ჩიტუნა.

**7 ასო** — გომბეშო, დუბლინი, თებერდა, ტურისტი.

**8 ასო** - აგარიანი, ამარილდო, ბილიარდი, ბოროდინო, გარანტია, ვაკანსია, ვალენსია, ვატერლოო, კასტილია, კემპბელი, კომანეჩი, ლიმასოლი, ლიტურგია, ნანდაური, ნისკარტი, პამპლონა, სპარტაკი, სტოტინკა, ტანზანია, ტრადიცია, ფონეტიკა, ქარავანი, ხორვატია.

ე ლ ს ი ნ ო რ ი

F

## სიმეტრიული კროსვორდი

***თარაზულად:*** 7. მზის სისტემის პლანეტა. 9. რუსი მწერალი - კომუნისტი. 10. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 11. საქართველოს ისტორიული ძეგლი. 12. ქალაქი ისრაელში. 13. სათმარი ნადავლი. 14. ინფექციური დაავადება. 18. ერთ-ერთი წინასწარმეტყველი. 20. ესპანეთის მხარე. 21. ამერიკელი გამომგონებელი. 22. გამოგონების დოკუმენტი. 24. დედამიწის გადაშენებული ბინადარი. 25. ერთგვარი ხვიარა მცენარე. 28. კფ. - „ქეთო და კოტეს" პერსონაჟი. 30. სიგრძის საზომი ერთეული. 32. მითიური ძაღის მფლობელი. 33. ფრანგი დრამატურგი. 34. ინდოეთის ფული. 35. ახლო წარსულის „გასართობი" თავშეყრა. 36. წარსულის უძლიერესი ბრაზილიელი ფეხბურთელი.

***შვეულად:*** 1. ფრინველის ფრჩხილი. 2. თანამედროვე როკ-მომღერალი. 3. თუთაშხიას მადევარი პოლიციელი. 4. მე-3 პირი, მრ. რიცხ. — ძვ. ფორმით. 5. 1992 წლის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი. 6. ავსტრიელი ფიზიოლოგი. 8. დარაჯი. 15. ქართული ხალხური მუს. საკრავი. 16. მიბაძვა. 17. სატელევიზიო პროფესია. 19. საქართველოს რაიცენტრი. 23. ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის ატომი. 26. საქართველოს ისტ. ძეგლი. 27. სრული გულგრილობა. 28. დაუმორჩილებელი მოვლენა. 29. ერთ-ერთი საკალათბურთო ტურნირის სახელი. 30. ქალაქის მმართველობა. 31. მწერების განვითარების ბოლო სტადია.

# წაკვეთილი პირამიდა

პირამიდაში ციფრები ნიშნავს საერთო ასოებს

შავი ოვალები სიტყვების გამყოფია



*1-ლი ჰორიზონტალი* „ვეფხისტყაოსანის" პერსონაჟი.
*მე-2* სამი და ერთი.
*მე-3* კითხვა-პასუხი.
*მე-4* ინგლისელი მსახიობი
*მე-5* მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონი ჭადრაკში.
*მე-6* დიდი სპარსელი პოეტი.
*მე-7* აფრიკის სახელმწიფოს დედაქალაქი.
*მე-8* რუსი იმპერატორი.
*მე-9* მემატიანე.
*მე-10* ქართველი რეჟისორი.
*მე-11* ქართველი მწერალი.
*მე-12* საქართველოს მეფე მეთოთხმეტე საუკუნეში.
*მე-13* ინდოელი პოეტი.
*მე-14* „შენ ჩემო დიდო იმედო..." შემდეგ?
*მე-15* ერთ-ერთი წარმართული რელიგიის წარმომადგენელი.
*მე-16* გიორგი შენგელაიას ფილმი.

# აღსადგენი კროსვორდი



მოცემული 25 ნაწილისაგან აღადგინეთ ოთხმხრივ სიმეტრიული კროსვორდი. საკარნახოდ მოცემული „ჯვარიც" განაწილებულია ქვემორე 25 ნაწილში.



# ამერიკული კროსვორდი



## შვეულად

**ა ხაზი**: 1-58. აშშ-ს ერთ-ერთი პრეზიდენტი. 67-187. მამრის სქესობრივი უჯრედი.

**ბ ხაზი**: 2-46.. ავი, კაპასი. 59-97. მუსიკალური ტემპი. 106-123. შორისდებული. 137-179. დროის მონაკვეთი.

**გ**: 3-78. ფეშენებელური ავტომობილი. 84-148. ქართლის სოფელი. 161-188. ცნობილი ქართველოლოგი.

**დ**: 4-47. ძველეგვიპტური ღვთაება. 60-107. სიკვდილისწინა მდგომარეობა. 115-162. ალბანეთის მდინარე. 171-189. გურულების სახლი.

**ე**: 5-38. საქონლის „ატრიბუტი". 48-108. ძველბერძენი მფრინავი. 124-149. „გლუკოზის" ფორმა. 163-180. ფართობის საზომი ერთეული.

**ვ**: 6-109. როგორი განტოლებაა ეს – **5x + 3y=12?** 125-190. ავთვისებიანი სიმსივნე.

**ზ**: 7-70. ერთ-ერთი ერისთავი. 79-116. სპორტული ასპარეზობის ნაწილი. 126.181. ამა თუ იმ ენის სპეციფიური ფრაზა.

**თ** : 8-39. რას ნიშნავს „ადაჟიო"? 49-140. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე. 151-192. ბიბლიის პერსონაჟი.

**ი**: 9-71. საფრანგეთის დეპარტამენტი. 88-128. ფინეთის ქალაქი. 152-193. შუა სს. აღმოსავლეთში რელიგიური ორდენის წევრი.

**კ**: 10-62. ჯუჯა სახელმწიფოს, მაკაოს მეორე სახელი. 72-89. ჩამონათვალი. 100-129. ცხენის „ფეხსაცმელი". 141-173. ტბა თბილისთან.

**ლ**: 11-81. აზიის სახეკმწიფო. 90-130. იტალიის რეგიონი. 142-183. ქალაქი კანადაში.

**მ**: 12-42. გონების პროდუქტი. 52-110. სკკპ-ს ქვეორგანო. 118-194. ბუღალტრის ჰობი.

**ნ**: 13-53. წყლის ძველებური ჭურჭელი. 74-131. იტალიელი მსახიობი. 154-195. კარჩაკეტილი საზ. ჯგუფი.

**ო**: 14-33. წვერის საღებავი. 43-91. დიდი ავსტრიელი მეცნიერი. 102-144. ერთგვარი თევზი. 155-196. ძველი ანუ...

**პ**: 15. 55. პოლინეზიის კუნძულების ჯგუფი. 64-120. ჩამონათვალთა წიგნი. 133-185. ევროპის სახელმწიფო.

**ჟ**: 16-56. ჯეკ ლონდონის რომანის გმირი. 93-156. ამერიკელი კინომსახიობი ქალი. 168-197. ფრანგი დრამატურგი.

**რ**: 17-66. სათვალის სახესხვაობა. 94-145. ციმბირის მდინარე. 157-198. ქალაქი უკრაინაში.

**ს**: 18-35 თვითმფრინავების სერია. 44-103. ფარული ანუ... 113-146. პერსონაჟი ფილმისა „შეხვედრა წარსულთან".158-186. საქართველოს რაიცენტრი.

**ტ**: 19-121. ვულკანი ანდებში. 135-199. ტროპიკული ხილი.

გაზეთ „ფანტაზიის" რედაქცია გთავაზობთ ნებისმიერი ფორმის, ზომის, სირთულის და რაოდენობის კროსვორდების შედგენასა და კომპიუტერულ აწყობა-დაკაბადონებას (ქართულ და რუსულ ენებზე)

## თარაზულად

**A ხაზი**: 1-10. აშშ-ს შტატი. 11-18 მდინარე აშშ-ში.

**B** : 20-21. ამერიკელი შავკანიანი ჩოგბურთელი 22-23. ბოსნია-ჰერცოგოვინას დედაქალაქი. 24-25 ქალაქი თურქეთში. 26--27. ინდოეთის დედაქალაქი.

**C** : 28-29. სისველე. 30-31. შაქრიანი რძე ან ნაღები ნაყინისათვის. 32-33. ჩრდ. საქართველოს საკონტროლო გასაშვები პუნქტი. 34-36. საჭმელის სია.

**D** : 37-39. ფართო ცოდნა. 40-41. ქალის სახელი. 42-44. საყვარლის კმაყოფაზე მყოფი მამაკაცი.

**E** : 45-50. მხატვარ-კონსტრუქტორი. 51-53. ცხოვრების წესი. 54-57. ტოლერანტი -ქართულად.

**F** : 58-60. საქართველოს უგვირგვინო მეფე. 61-65. დამპყრობის სახესხვაობა.

**G** : 67-68. მდინარე კონგოს მარჯვენა შენაკადი. 69-73. ინგლისის ტელე-რადიომაუწყებლობა 75-76. აცა-ბაცა მზირალი.

**H** : 77-80. პირველობა რაიმე აღმოჩენაში. 81-82. სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება.

**I** : 83-84. მე – ლათინურად. 85-86. ფრანგი ჩოგბურთელი. 87-91. სირიის უძველესი ქალაქი. 92-95. ჩვევათა ერთობლიობა.

**J** : 96-98. იტალიელი ფეხბურთელი. 99-100. იაპონია – იაპონურად. 101-104. შუა სს. რელიგიური სანახაობა.

**K** : 105-107. ქიაჩელის მოთხრობის პერსონაჟი. 109-111. მიბაძვის სახეობა. 112-113. რაჯ კაპურის პარტნიორი მრავალ კინოფილმში (ქალი)

**L** : 114-116. ირანის ქალაქი. 117-119. როგორია ვარდი? 120-121. ზურიკელას მეგობარი.

**M**: 122-126. ესტონური ტელევიზორი. 127-131. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. 132-134. იგივეა, რაც ფორმა.

**N** : 136-138. იმერეთის მხარე. 139-143. საუბარი. 144-146. რძეში მოხარშული ცომი.

**O** : 147-149. თივის გროვა. 150-153. ოცდაათიანი წწ. პოპულარული მელოდია. 154-159. ქალაქი რუმინეთში.

**P** : 160-164. „ღვთისმშობლის სიცოცხლის პოლუსი. 165-166. ბიბლიის პერსონაჟი ქალი. 167-169. საბერძნეთი – ბერძნულად.

**Q** : 170-171. ნარნარი ფრენა. 172-173. პროზაული ნაწარმოები. 174-175. ბანქოს თამაშის სახესხვაობა. 176-177. ღედა – გურულად.

**R** : 178-182. ძველთბილისელი მამაკაცის ტიპი. 184-186. ავსტრიელი კომპოზიტორი.

**S** : 187-190. ჰომეროსის პოემა. 191-194. აშშ-ს ქალაქი. 195-199. სასწავლო პროცესის „ბუს".

### გასული ნომრის პასუხები

*(კინოვორდი) თარაზულად:* 4. ნოდარი. 6. სტანიცა. 10. როკო. 11. ოსტრი. 12. ომარი. 13. ოტია. 15. მელანი. 16. რეიგანი. 17. მერსიე. 18. ობოლი. 20. გირი. 21. არტო. 22. ვგიკი. 23. იგორი. 25. ზორბა. 26. ბარდო. 29. ანაპა. 30. ლუიჯი. 31. კერპი. 33. ირინე. 35. ვაიმარი. 37. ბისეტი. 40. არბოლედი. 43. ისანი. 44. მორო. 45. სიკო. 46. ნეო. 47. იდიოტი. 48. ნინელი. *შვეულად:* 1. პაროდია. 2. ინდიუმი. 3. ფანტასტიკა. 4. ნიკოლსონი. 5. ინტერვიუ. 7. ტრავიატა. 8. რიმინი. 9. ხორავა. 10. რემბო. 14. აბელი. 19. ირონიული. 22. ვერონიკა. 24. იბსენი. 25. ზოზინი. 26. ბიკენტი. 27. რურკი. 28. ოლივერი. 32. ძიძია. 34. რაი. 36. მელ. 37. ბემბი. 38. ტოტო. 39. ისინი. 40. ანტონ. 41. ონისე. 42. ეროსი.

*(სკანდინავიური) თარაზულად:* ტაკიმასხარა. საკმაზი. ძეფირელი. რილკე. ასორტიმენტი. ვენესუელა. ისარი. ჩექმა. ლესა. ილუზიონისტი. ლეილი. ეზო. რეპი. იავა. გერინგი. ორბიტა. იბრუხტი. ანტი. კაზრეთი. ლიანა. სენიორი. კარელ. კუტუნიო. აბიო. ხარიტონი. ახი. გვარჯილა. ავგაროზი. რასა. აიდა. იანუსი. აიმე. ოში. ილუზია. ილი. ზორბა. დოლარი. ეკიუ. გაია. რიორიტა. რკო. ონასისი ამინი. მაჩეტე. ბრინკა. ასო. დიანა. ჟოაო. ედერი. იზდოხლი. პაი. სელექცია. ჰოპ. ნიკიტინი. ლატვია. ვაზ. ვარიანტი. ლარი. არფა. ფიბრომა. მაილსი. ფარაონი. შივა. შატალო. ყია. ივასი. ალიონა. იანვარი. *შვეულად:* ტორიჩელი. კარაგიოზი. ნიამე. შოლოხოვი. კოლექტივიზაცია. ირონია. კაფია. ლაბრადორი. ალტაი. მძევალი. კაისა. თუთაშხია. ნინელი. ფიფა. სფინქსი. ხინკალი. დისიდენტი. ექიმბაში. არესი. ოგინსკი. არც. რკინა. რებუსი. იუტა. ნაია. ლერმონტოვი. რომა. ალამდარი. იალბუზი. იუნგა. ირისი. არა. სანზონა. ონიანი. შინ. არი. რულეტი. ვარშავა. კორიდორი. დოლინა. მატიანე. აზიზი. ფასი. იპონი. იურმალა. იტალია. ზიმი. სირტაკი. კანი. ბინადარი. გოჩა. ჰალვა. უნაგირი. არახამია. პოზა. ოყნა. კიტრი. ენისელი. ტრამალი. იაფეტი. იაკი.

*(მე-5 გვერდი) ზემოთ. თარაზულად:* 11. სემირამიდა. 12. ნარკომანია. 13. ველოსიპედი. 14. დელფინარიუმი. 15. რეიკიავიკი. 17. ანგელოზი. ვილნიუსი. 22. სპა. 25. ფილისტერი. 27. ტირი. 29. ნუარე. 30. მიცკევიჩი. 32. ლენგი. 34. კათედრა. 36. კვანტალიანი. 38. კირი. 42. აგარა. 43. ბაჟი. 44. ყუბანი. 46. მუმუ. 47. გლადიატორი. 48. ჩიორა. 49. ყულაბა. 50. ჰიგინსი. 51. რინგი. 52. ჩაი. 53. ლიმა. 54. არხი. *შვეულად:* 1. სუვოროვი. 2. მულტიპლიკაცია. 3. როსკიპი. 4. აფიშა. 5. იმედი. 6. ანილინი. 7. კრეისერი. 8. რომანოვი. 9. მარინისტი. 10. კამიუ. 12. დეკა. 14. ვესტიბიული. 16. შარი. 18. პერანგი. 20. ფინეთი. 21. ლიანდაგი. 22. სტელა. 23. პრესტიჟი. 24. უნიკალური. 26. სმოკინგი. 28. ჭირისუფალი. 33. ნიადაგი. 35. კამელია. 37. ანკარა. 39. ბაჭია. 40. იალნო. 41. ყოჩი. 45. ოყნა.

*ქვემოთ, მარცხნივ. თარაზულად:* 8. აბრაგი. 9. ბამაკო. 12. კონსტიტუცია. 13. მარე. 15. აბგა. 16. ებონიტი. 17. ანონსი. 18. იაფეტი. 19. შტერნი. 20. როსინი. 26. ავარია. 27. ნისტრუ. 28. აბზიცია. 30. ლიანა. 31. არია. 32. ამორტიზაცია, 33. აბბოხი. 34. იდიომა. *შვეულად:* 1. ანემია. 2. ალოე. 3. იოსები. 4. კრიშნა. 5. ბიუსტი. 6. მაია. 7. ონკანი. 11. აბრევიატურა. 14. ესენცია. 15. იაპონია. 21. არსენა. 22. ამარტი. 23. ბილიკი. 24. ნისანი. 25. უგანდა. 28. ამაო. 29. ასისი.

*ქვემოთა, მარჯვნივ. თარაზულად:* 8. რანტიე. 9. კენედი. 12. კონცენტრატი. 13. ავლა. 15. ანტი. 16. ანანასი. 17. ალპები. 18. ინაური. 19. ბრონზა. 20. მაუგლი. 26. გიაური. 27. ოდენსე. 28. ალადინი. 30. მზია. 31. აინი. 33. ირტიში. 34. ელენთა. *შვეულად:* 1. რეჯანა. 2. ტროა. 3. ჰელცინი. 4. ბანანი. 5. კიოსი. 6. ნოტა. 7. ინგირი. 10. კლეპტომანია. 11. ინდულგენცია. 14. აბეზარა. 15. ინსაიდი. 21. გუმანი. 22. ილმენი. 23. იდიოტი. 24. ონოფრე. 25. ელისტა. 28. ასლი. 29. არგე.

## CROSS-SHOW ხელმარჯვე (კროსტატი)



10. საქართველოს ასტრონომიული ცენტრი. 11. (მისტერ) მერფი, ჰოლივუდელი მსახიობი. 12. მოლდავეთის ისტ. მხარე. 14. „საერთაშორისო სიმღერა". 15. უდიდესი რუსი კინორეჟისორი. 21. სოლისტი ანსამბლისა „მხოლოდ შენ ერთს", ჯონი. 22. იგივეა, რაც „ქმედება". 25. მწერლისა და მკითხველის საერთო საქმე. 26. ინგლისელი მეზღაპრე, ლუისი.. 27. ორი ერთეული. 30. მასობრივი ჩოჩქოლი. 31. ამირანის ძმა. 32. მდგომარეობის დამშვიდება. 35. სამოციანი წწ. კიევის „დინამოელი". 36. ქორფა ანუ... 37. კონსტანტინეპოლის ძველი სახელი. 40. ძველ ინგლისელ მეფეთა გვარი . 41. სპეციალური ნიშანი საქონელზე. 42. ქართველ თავადთა გვარი. 46. მუსიკის ჟანრი. 47. გაწმენდა-გაფილტვრა ანუ.. 48. ხუმრობის მოყვარული. 51. მტაცებელი ფრინველი. 52. თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ხორვატი ჩოგბურთელი. 54. მე-19 ს. ფრანგი კომპოზიტორი. 58. ნაძვისხის სამკაული. 61. ვულკანი აფრიკაში. 63. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 64. უილბლო, ნავსი ანუ... 65. ქალაქური მოსაფერებელი ბოლოსართი. 66. მამაკაცის გერმანული სახელი. 67. ცნობილი გერმანული ჟურნალი. 74. ერთგვარი სასმელი. 75. სხეულის გარკვეული ზომა. 76. იტალიელი კინომსახიობი ქალი. 78. ცნობილი ჰოლანდიელი ტოპ-მოდელი, კარენი... 79. (შავი იუმორით) ფაშისტების „საწვავი" ნაგებობა. 83. მარტომყოფი ანუ... 88. სპეციალური აკუსტიკური დანადგარი. 89. რუსეთის ტელევიზიის ქართველი სპორტული კომენტატორი. 90. ოპტიკური მოვლენა. 91. შემუშავებული წესი თუ მოძღვრება. 92. ძალზედ ჭუჭყიანი. 93. ჰიგიენური ავზი. 94. ვალერი მელაძის ცნობილი სიმღერა. 95. მათემატიკური ნიშანი.



1. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი. 2. ხელოვნების დარგი. 3. დადგენილი სვლაგეზი. 4. ზედაპირული ცოდნა. 5. გერმანიის ქალაქი. 6. ძალიან სუფთა. 7. ქიმიური ცნება. 8. გოსპოჟა ელცინა. 9. სამსონის სატრფო.11. ყოველმხრივ განვითარებული პირი.13. ცილისწამება — ლათინურად. 16. ახალგაზრდა კაცი — ძველთბილისურად. 17. ქალბატონი ისაკაძე. 18. ერთგვარი ფეხსაც-მელი. 19. საფრანგეთ-ბელგიის ისტორიული ოლქი. 20.ნიწაკის სახესხვაობა. 23. საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიტატი. 24. ძალიან უბრალო, მარტივი. 28. მართლმადიდებლურ ეკლესიაში წესების კრებული. 29. სავაჭრო გარიგების შუამავალი. 31. ქალაქი აშშ-ში. 33. მთავარი სისხლძარღვი. 34. როგორი „ბერძენი" იყო ენტონი ქუინი. 37. ქართველი კინორეჟისორი. 38 (კიდევ ერთი) ქალაქი აშშ-ში. 39. ფრანგული კინოს ანჟელიკა. 43. რძის (ბუნებრივი) მომწოდებელი. 44. მიმინოს ძაღლი. 45. აფრიკის სახელმწიფო. 49. საყოფაცხოვრებო (საზაფხულო) ნივთი. 50. დასავლურქართული ვაზის ჯიში. 53. დასავლურევროპული არქიტექტურული სტილი. 55. ფრანგ (ცოლ-ქმარ) ქიმიკოსთა გვარის ნაწილი 56. ქალაქი ბელგიაში. 57.ლენინის მოძღვრების ერთ-ერთი საყრდენი. 59. ბიზნესის ერთ-ერთი მამოძრავებელი რამ. 60. ცნობილი ტოპ-მოდელი. 62. ჰიტლერის სახელმწიფო. 68. ქიმიური ჭურჭელი. 69. მრწამსი — არაქართულად.70. სკანდინაველთა ღვთაება. 71. შვ. №43-ის სინონიმი. 72. აფხაზური ხაჭაპური. 73. ქალაქი ინგლისში. 77. ათოსის ნაცოლარი. 80. ნამცხვრის სახეობა. 81. ქალაქი ესტონეთში. 82. სპორტული ასპარეზი. 84. გრძელი ძველებური წერილი. 85. კუჭის გამოსაწმენდი საშუალება. 86. თმის ვარცხნილობა. 87. სტალინის ერთ-ერთი სახელი.

***გაზეთ „ფანტაზიის" რედაქცია სათანამშრომლოდ იწვევს ახალგაზრდა ჟურნალისტებს!!!***

(*პირველი გვერდიდან*(

თავად მომღერალი კი თითქოს არაფერს და არავის ყურადღებას არ აქცევს და ასე ამბობს:

***„აი, მე ასეთი ვარ, მიყურეთ და მერე ეშმაკასაც წაუღიხართო."..***

კაცი იფიქრებს, რომ მადონა არაფერს მალავს, გარდა თავისი ჭკუისა. ვინც მას იცნობს, ამბობენ, რომ მადონა კომპიუტერია, იგი საქმიანი, მარჯვე მეპატრონეა თავისივე სახელობის ფირმისა. თუმცა ასეთ სახელს იგი აფიშირებას არ უკეთებს,***„– რაც უფრო ნაკლები იციან შენი საქმეების შესახებ, მით უფრო წარმატებულიაო შენი ბიზნესი";*** საერთოდ კი, პუბლიკას არ სჭირდება „ვარსკვლავობის" უკანა მხარე. საკმარისია იმის ცოდნა, რომ იგი ამერიკის უმდიდრეს ადამიანთა შორის ირიცხება.

### ცხოვრება

ზოგჯერ პრობლემები მადონასაც უჩნდება, როცა საქმე მანიაკებს ეხება. ერთი ასეთი ციხეშიც კი ჩასვეს იმის გამო, რომ იგი მომღერალს ატერორებდა თავისი წერილებით, დარეკვებითა და მის სიახლოვეს უეცარი გამოჩენით. ეს მანიაკი მალე გამოვა ციხიდან და ამიტომაცა, რომ მადონა გვერდიდან არ იშორებს პირად მცველებს, რომლებიც სიმაღლე-სიგანით სამ-ოთხჯერ მაინც აღემატებიან თავისი დაცვის ობიექტს. თუმცა მადონა აქაც მადონაა... ყოველი დამცავი სააგენტო უარს ამბობს მისი მომსახურებისაგან, რადგან ხშირად ამ სააგენტოების რეპუტაცია ილახება ურჩი კლიენტის ხასიათის გამო.

მრავალი მისტიკოსი მისი სიკვდილის გამოთვლას ცდილობს და ვარაუდობენ, რომ ის, ვინც ასე კაშკაშად ცხოვრობს, ასეთივე სიკაშკაშით უნდა დაკარგოს ყველაფერი და წავიდეს... ნუთუ ასეთ ნატურას შეუძლია 90 წლის ასაკამდე იცხოვროს და თავის ლოგინში უჩუმრად მიილიოს?! მას ამის უფლება არ გააჩნია, ბედისწერასთან დადებულ კონტრაქტში მას ასეთი ბანალური ფინალი არ გაუთვალისწინებია. მისი სიკვდილი მხოლოდ გრანდიოზული ელვარებით შეიძლება წარმოვიდგინოთ და ისეთივე მოულოდნელი უნდა იყოს, როგორიც მისი მარად ცვალებადი იმიჯი; იგი ქუჩის გოგო იყო ერთხანს და ამერიკის მოზარდები მზად იყვნენ ყოველ მის დასტვენაზე „უფროსთა სამყაროსათვის" ომი გამოეცხადებინათ. ამას მალევე მოჰყვა მადონას გადასხვაფერება, იგი წამიერად გაიზარდა და ეს „უფროსთა სამყარო" სექსუალური აღვირახსნილობით გააოგნა. აი, თუნდაც ასეთი მაგალითი: იგი რელიგიასაც კი სექსუალური კუთხით აღიქვამს და ამბობს „თქვენ ილოცეთ იმ რაღაც გაურკვეველი ღმერთისათვის, მე კი იგი წარმომიდგენია მამაკაცად, რომელიც ჩემს გემოვნებას აკმაყოფილებს".

მადონას სულიერად ზიანისმომტან კლიპებს კრძალავდნენ,იგი კი განაგრძობდა თავის ფერისცვალებას და ისეთი დამჯერი და მიზანსწრაფული ხდებოდა, თითქოს ინგლისის ტახტის მემკვიდრეშ ცოლობა სთხოვაო.?! თუმცაღა ასეთი დადინჯება მხოლოდ საკუთარი სურვილით ხდებოდა და არა იმ კლიპების ამკრძალავი პირებისაგან, რომლებსაც რელიგია საკუთარი სიბრიყვის დასაფარავად სჭირდებათ.

მადონამ ღვთაებრივი ევიტა პერონის როლზეც განაცხადა პრეტენზია; ეს ის ევიტაა („ფანტაზიის" მკითხველები უკვე იცნობენ მას), რომელსაც არგენტინამ სიკვდილის შემდეგ წმინდანის სტატუსი მიანიჭა, თუმცა ეკლესიამ არ სცნო ეს 'სტატუსი". ასევე უარყო ამერიკის კინოაკადემიამ მადონაც, როგორც მსახიობი; „ოსკარის" პრემიაზე არ წარადგინა იმ მოტივით, რომ – მოღერალი თუ ხარ, იმღერე, მსახიობობაში ცხვირს ნუ ყოფო! ეგებ „ევიტაში" მან ვერც გამოავლინა თავისი კინემატოგრაფიული ნიჭი. არის აზრი, რომ იგი კლიპებში უფრო შთამბეჭდავია, ეს ფილმი კი ერთი გაჭიანურებული კლიპია, სადაც მთავარი გმირის ხასიათი ძალზედ სქემატურია, სქემის თამაში კი არცთუ სასიამოვნო რამ არის. ამბობენ – მადონამ თავისი თავი ითამაშაო, საკუთარ თავში კი მან ბევრი საინტერესო რამ მოიძია და თავისი გმირი საკუთარ პიროვნებას დაამგვანა, თუმცა კი მათ შორის მსგავსებაც ბევრი იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ევიტას ნერვებმა უმტყუნეს, რაკიღა კიბო სწორედ ნერვიული დაავადებაა; იგი ადრე გარდაიცვალა. სიცოცხლეში კი ერთი შეცდომა დაუშვა, როცა აქცენტი გააკეთა არა საკუთარ თავზე, არამედ ქმარზე და ეს არასწორი ნაბიჯი იყო ამ ელვარე ნატურისათვის. მადონა კი მხოლოდ საკუთარ თავს უწევს ანგარიშს, არავის გაუშვებს წინ და არავის არ დაახარჯავს ზედმეტ ენერგიას.

### *„ლოგინში მადონასთან ერთად..."*

ეს საოცრად მართალი და ამავე დროს შეთხზული ფილმია. აქ არის მომენტები, როცა იგი კარს გაიჯახუნებს და გაურბის კინოკამერას. ეს რაღაც პროტესტის ნიშანია იმ მაყურებლის მიმართ, რომელიც ღირსად არ მიაჩნია, რომ მისი მშვენიერი ნატურით დატკბეს, თუმცა არის სცენებიც, როცა იგი მთლიანად იხსნება იმ თვალებისათვის, რომლის პატრონები არანაირი იდიოტური ჩარჩოებით არ იფარგლებიან და არასოდეს ცდილობენ სხვის დაძრახვას, რათა საკუთარი უსუსურობა შენიღბონ. ეს ქალი ჰგავს იმ პატარა გოგონას, რომელიც თოჯინასთან თამაშისას აბსოლუტურად გულწრფელია და ირგვლივ მყოფთაგან ერთადერთს ითხოვს, რომ მათ გაიზიარონ ეს გულწრფელობა და ბავშვური ფანტაზიის უსაზღვროებისა გამო თავქარიანობაში არ დასდონ ბრალი.

მადონამ თქვა: ***„მე მინდა, რომ მთელ ქვეყნიერებას ვუყვარდე!"*** ამ სიტყვებში უფრო ბავშვის გულუბრყვილობა ჩანს, ვიდრე უფროსის თავხედობა... უბრალოდ ეს ლოზუნგია, საოცრად ინდივიდუალურ დროშაზე წაწერილი...

ი/ს „ფანტაზია"
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ №7/1— 1811
რედაქტორი
ალექსანდრე ელერდაშვილი
(უზნაძის ქ. № 18, „საქწიგნი", 1-ლი სართ.)